ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** სამშაბათი, 9 ოქტომბერი № 1605

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვას სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцела»—«Моамбе».** **ტელეფონი № 372.**

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავათმყოფნი 10—11.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ტელეფონი № 274. (წლ.)

ქუთაისის საქალაქო გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ წლის 20 ოქტომბერს, მის თანადასწრებით, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით, სამის წლის ვადით, ყოველგვარ საშენი ქვის მოტეხის ნება ქალაქის მამულში, სახელწოდებით **„ეკლარა“**, რომელიც ქუთაისის მაზრის სოფ. ჭოგნარის ახლო მდებარეობს.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, იჯარის დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლიან ქუთ. საქალაქო გამგეობის კანცელარიაში, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე. (3—2)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ინჟინერი
გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოებს: 1) მადნეულობის გამოკვლევა—ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვ. 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში და 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეებს.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, 4 საათიდან 6 საათამდე. ადრესი: Георгіевская площадь, № 32. (8—5)

ექიმი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

სოჯახო მრეწველთა კრების გამო

დღეს, 9 ოქტომბერს, ტფილისში იწყება ეგრედ წოდებული სოჯახო, ან შინა მრეწველობის მოღვაწეთა კრება.

ვინც იცის, როგორ გავრცელებულია ჩვენში სოჯახო მრეწველობა, მისთვის ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კრებას. ჩვენში, სადაც საქარხნო და საფაბრიკო მრეწველობა მაინცა და მაინც არ არის დიდათ განვითარებული, სოჯახო მრეწველობას საპატიო ადგილი უჭირავს. ძნელად მოიძებნება კავკასიაში ისეთი კუთხე, სადაც ხალხი შინა მრეწველობის რომელსამე დარგს არ ეტანებოდეს. ამ მრეწველობის ბევრად თუ ცოტად განვითარებულ დარგთა რიცხვი 40-მდე ადის. შინა მრეწველობა ბევრგან ერთად-ერთი მრჩენელია ადგილობრივ მკვიდრთა. ბევრგან ის თვალსაჩინო დამხმარეა მიწად-მოქმედთა. ჩვენი სოფელი, ნამეტურ ტფილისის, ქუთაისის, განჯისა და ერევნის გუბერნიებში ძალიან შევიწროვებულია ადგილ-მამულის მხრით; ასე რომ, მარტო მეურნეობა ხალხს ვერ არჩენს და მას დიდ დახმარებას უწევს სოჯახო მრეწველობა. ერთის მხრით, მეურნე თავისისავე ოჯახის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ამზადებს ამა თუ იმ საგნებსა და საქონელს, მეორეს მხრით, ბაზარზე გააქვს იგი ფულის მოსაგებად.

სამწუხაროდ, ჩვენში ეს მრეწველობა სრულიად არ არის ჯერ შესწავლული და ამიტომ დაახლოვებული სტატისტიკური ცნობების მოყვანაც არ შეიძლება. ვიცით მხოლოდ, რომ ბევრი დარგი იმდენად დიდი მნიშვნელოვანია, რომ ბაზარი მოუპოვია არა მარტო კავკასიაში, არამედ რუსეთში და საზღვარ-გარედაც; მაგალითად, ნოხები, მეაბრეშუმეობის ნაწარმოები, რკინისა და ვერცხლის ნივთები ცნობილია ყველგან და კარგ ფასშიაც გადის...

სოჯახო მრეწველობის განვითარებას ჩვენში ბევრი გარემოება უწყობს ხელს. თავი და თავი მიზეზი ამ მრეწველობის დამკვიდრებისა ის არის, რომ ჩვენში, როგორც ზევითაც ვთქვით, ფაბრიკა-ქარხანას ჯერ ვერ მოუპოვებია სრული ბატონობა; მცხოვრებთა საჭიროებას აკმაყოფილებს სახელოსნო და სოჯახო მრეწველობა. შემდეგ ჩვენის ბუნების სიმდიდრესაც აქვს დიდი მნიშვნელობა: ძნელად მოიპოვება სხვა ისეთი ქვეყანა, რომელიც იმდენ შეუმუშავებელ მასალას იძლეოდეს, როგორც კავკასია: მატყლი, აბრეშუმის ძაფი, კანაფი, სხვა და სხვა ძვირფასი მცენარეულობა, მრავალგვარი მადანი და ყოველნაირი ხე-ტყე და სხვა აუარებელი მასალაა დასამუშავებლად და სამრეწველოდ. მაგრამ, ამასთანავე სოჯახო მრეწველობას ბევრი დაბრკოლება, ბევრი შემაფერხებელი გარემოება წინ ეღობება. აი, სწორედ ამ გარემოებათ უნდა გაუმკლავდეს მომავალი კრება და გამოსძებნოს სახსარნი შინა მრეწველთა დასახმარებლად...

უკანასკნელ წლებში საეკონომიო ლიტერატურაში გაცხარებული კამათი იყო სოჯახო მრეწველობის შესახებ. საქმე ის არის, რომ კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნებში შინა მრეწველობა და, საზოგადოდ, წვრილი წარმოება დაეცა და ადგილი ფაბრიკა-ქარხანასა და მსხვილ წარმოებას დაუთმო. განცალკევებულმა, საჭი-

---

ფელეტონი

სასცენო სურათები*)

მეორე

5 სანახავი

ნიკოლა, მერე ნიკო.

ნიკოლა (თვალს გაადევნებს თალხას). მოდი და ალ-ქაჯს გაუძლოს კაცმა! შუბანშოვია რაღა! ერთი ღრმად რომ ჩავფიქრდეთ, რომელი მხარე უფრო შესაბრალისია? (დიმილით) ჰო, ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან!.. ძალუა ჩემი ხომ არის და არის ფარჩის ნაჭერი, არც ეს გატრუსული ადვოკატია, წმინდა მოციქული! (დადის) ჭეშმარიტად დიდი ჭკვიანი კაცია ჩვენი ლაზრუა: „ყველამ თავისი ტოლი და ამხანაგი უნდა მონახოსო..“ მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა! გამოცდილებაზე დიდი სწავლა ქვეყანაზე არ არის! ეხლა ვხედავ, რომ მე ძალიან ტუტუცი ვყოფილვარ! ძალიან უნაფქოთა ვბძანებულვარ აი აქა! (შუბლზე თითს აკაკუნებს) მამა-ცხონებულები! ასე ეგონიათ, რომ ფულით ყველაფერი შეიძლებაო!.. ერთი ორი გროში უშოვია ძალუა ჩემს... ისიც როგორ? ერთი დავახრანტალო, ძალუა თავის ქალით და სიძით ციმბირისკენ გაისეირნებენ!.. მახლას, რაც არის!.. ჰო და თავის ტოლი და ამხანაგი რომ აღარ იკადრა სიძეთ, მოინდომა ადვოკატი... პროკუროვი... მინისტრი! საიდან სადაო?.. ხარფუხის სკოლაში მისწავლია პატარობისას: ბაყაყმა რომ მოინდომა, კამბეჩის ტოლა გამხდარიყო, გაიბერა, გაიბერა და... გასკდა! ეს საქმეც ასე არ გამოდის? შენს ქერქში დადექი რაღა!.. (ფიქრობს, მერე თავის თავს) არა, შე პირძაღლო, სადაური მანჭაკალი ხარ, რომ ცოლ-ქმრობის საქმეში ერევი, გინდა შენი დაც იყოს?! ეგდე შენთვის რაღა! თავი ქვას ურახუნონ, თითონ მორიგდნენ! . ეჰ, ეხლა რაღა დროსია: საქმე დამიწყვია, უნდა თავი თავს მოვიყვანო, თორემ არ მაცოცხლებენ! (მივა მარცხნივ კარებთან). სიმონ დავითიჩ! სიმონ დავიდიჩ!

ხმა (შეტევით). რა გნებავთ?

ნიკოლა. პატარა ხანს გამობძანდით!

ხმა. მე თქვენთან ლაპარაკი არა მსურს!

ნიკოლა. არც მე მინდა ძალიან, მაგრამ საქმე რომ არის?

ხმა. ვნახოთ, რა საქმე გაქვთ! (**სიკო** გამოვა). რა გნებავთ?

ნიკოლა. დილა შვიდობისა! (ხელს უშვერს).

სიკო (ხელს არ აძლევს). მეტი არაფერი?

ნიკოლა (იქით). ნახამთ თუ ესეც მე არ მიწყრება! (იმას) როგორა ხარ?

სიკო (შუბლ-შეკვრით). დამცინი თუ რა არის? მკითხავ, როგორა ხარ ჯოჯოხეთშიო?!

ნიკოლა. რა ჯოჯოხეთში? ამისთანა ღვთისნიერი ხალხი გახვევია...

სიკო. თქვენ, ბატონო, დიდი სიფლიდე და ვერაგობა ჩაიდინეთ, და არ ინებებთ, საქმე ეხლავე გაასწოროთ?

ნიკოლა. მითომ როგორ?

სიკო. თქვენ უსირცხვილო და ნამუსზე ხელ აღებული კაცი ჰყოფილხართ!..

ნიკოლა (თავისთვის). ახია ჩემზე! ახ, ეხლა რა კარგი გასატყეპი ვარ!

სიკო. გაიძვერობით და თვალთ-მაქცობით შემომიტყუეთ ამ საეჭვო სახლში... გეგონათ, ხაფანგში გამაბით, აღარა მეშველება რა? თქვე საზიზღრებო..,

ნიკოლა (მოთმინებიდან გამოსული). კარგია, კარგი, თავი დაანებე მაგ ლოცვა-კურთხევას! (იქით) ვა, დღეს რა ყველას ხატის ღვინო დაულევია! (იმას) ლანძღვა-გინება რა საკადრისია! კაცურად გამაგებინე საქმე! რომ მიყვირი, რა შენი კუტით გაზდილი ვარ?! ნაყმევი ვარ შენი... ვინმე ლაწირაკი ქუჩის ბიჭი, თუ შენი ხელში შემაცქერალი? მეც ერთი ხელობის კაცი ვარ, პატიოსანი შრომით ლუკმასა ვჭამ!.. თუ დაყვირებაზეა, ისეთსა დავიღრიალებ, რომ ხუთმა ვირმა ვერ დაიყვიროს იმოდენა!.. რა გამოვიდა? ეგ სადაური საქციელია?

სიკო. მე ამ საზიზღარ სახლში ცხოვრება არ შემიძლიან, უნდა გადავიდე აქედგან...

ნიკოლა. ჯერ დაგვიბრუნეთ, რაც ჩვენგან წაგიღიათ და მერე მიბძანდით!

სიკო. როგორ? თქვენა გაქვთ სადაო თუ მე? მაშ მაგ ხრიკებს მიმართეთ? ვნახავთ!

ნიკოლა. ხრიკები და გაიძვერობა რა ჩვენი საქმეა, ჩვენ ხომ ადვოკატები არა ვართ! ჩვენ სიმართლის მიმდევარი ხალხი ვართ! (დაცინვით.) ჭო, ვერ მოგივიდა დუშაში განა? ჩვენც ეგრე გვეგონა!.. (მინადორა).

6 სანახავი.

იგინივე და მინადორა

მინადორა (კარებში მოკრძალებით). ორიოდე სიტყვა მინდა მოგახსენოთ...

სიკო (მოიხედავს, შეშფოთდება). ღმერთო ჩემო! ეს საიდგანღა გაჩნდა! (ადგება.) მობრძანდით... გთხოვთ... ინებეთ, დაბძანდით!..

მინადორა (წინ მოვა). ჰო, მაგრამ... (ნიკოლას უყურებს.) იქნება საქმე დაგიშალეთ..

სიკო (ადლვებული ნიკოლას). გთხოვთ, პატარა ხანს მიბრძანდეთ! ხომ ხედავთ, რომ ქალს ჩემთან საქმე აქვს...

ნიკოლა. გიახლებით. (მინადორას ათვალიერებს, იქით.) ეს როგორღაც ჩვენი უბნისასა ჰგავს! ერთი „სპრავკა“ მოვახდინოთ... (თალხასთან შედის).

სიკო (საჩქაროდ კარებს მაგრა მოხურავს და მინადორასკენ წავა). მინადორა, ჩემო მეგობარო!..

მინადორა. (ხელით.) მოითმინეთ!.. მე საალერსოდ არ მოვსულვარ თქვენთან! მე მხოლოდ მინდოდა, პირდაპირ შემომეხედნა თქვენთვის სახეზედ და შემედარებინა იმ კაცის სახისთვის, რომელიც ჩემ წინ დაჩოქილი მდუღარებას აფრქვევდა და სამუდამო ერთგულებას მეფიცებოდა—რითიმე ჰგავს ერთი მეორეს თუ არა. ეხლა ცხადადა ვხედავ, რომ ეს ორი სახე სულ სხვა და სხვა ყოფილა! (დაჯდება სკამზედ).

სიკო (მუდარებით). გამიგონე, რა გითხრა, ძვირფასო...

მინადორა. რა გაგიგონოთ, როდესაც

---

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1596.

რო კაპიტალსა და ტეხნიკურ ცოდნას მოკლებულმა, მცირე მრეწველ-ხელოსანმა ვერ გაუძლო ფაბრიკის კონკურენციას. ტეხნიკის შესანიშნავმა პროგრესმა შეძლება მისცა მსხვილ მრეწველს გაეიაფებინა თავისი ნაწარმოები და ამით ბაზრიდან თითქმის სრულიად განდევნა ხელოსანი და საოჯახო მრეწველი. ეს ცხოვრების მოვლენა საეკონომიო მეცნიერებამ კანონად აღიარა და გამოაცხადა, რომ მსხვილი კაპიტალისტური წარმოება და მცირე შინა-მრეწველობა ერთმანეთში ვერ მოთავსდებიანო. რომ უკანასკნელმა ადრე თუ გვიან უთუოდ უნდა სრულიად დაუცალოს ადგილი პირველსა; ხოლო აქედან ის დასკვნა გამოჰყავდათ, რომ საოჯახო მრეწველობას არავითარი დახმარება არ უნდა, რადგან შეუდრეკელის ეკონომიურის კანონის ძალით ეს მრეწველობა უთუოდ უნდა მოისპოსო. ასეთს სასტიკს დასკვნას ბევრი მოწინააღმდეგეც აღმოუჩნდა. უმეტესი მათგანი, თუმცა პრინციპიალურად ეთანხმებოდა ხსენებულ კანონის აღმიარებელთ, მაგრამ იმ აზრისა იყო, რომ ხელოსნობა და შინა-მრეწველობა ღვთის ანაბარა არ უნდა იქმნან მიტოვებულნი, რომ შესაძლებელია მათ დახმარება აღმოეჩინოს და, სანამ ცოცხალნი იქმნებიან, მათი სიცოცხლე სიცოცხლეს ჰგავდეს და არა განუწყვეტელ სულთ-ბრძოლასა და ტანჯვა ვაებას...

უკმნასკნელნი უფრო პრაქტიკულ მხარეს ადგნენ და ჩვენთვის ეს მხარე უთუოდ სავალდებულოა; ვამბობთ „უთოდ", იმიტომ რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა სწორედ ისეთია, რომ მცირე მრეწველობის დაუხმარებლად დატოვება მცხოვრებთა კეთილ-დღეობის საფლავის გათხრა იქნება. ჩვენში კაპიტალისტური წარმოება პირველს საფეხურზეა ჯერ. მართალია, მისი განვითარება სწრაფად მიდის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება; ფაქტი კი ის არის, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერ მეურნეობისა და ხელოსნობა-შინა-მრეწველობის ქვეყანაა უმთავრესად. ქარხანა-ფაბრიკას მხოლოდ ალაგ-ალაგ გაუმაგრებია ფეხი და მოუპოვებია სრული გავლენა; უმეტესი ნაწილი ქვეყნისა კი ძველ საეკონომიო პირობებშია. უდიდესი ნაწილი მცხოვრებთა მიწად-მოქმედებით და შინა მრეწველობით, ნატურალურ მეურნეობით არის და კიდევ დიდხანს იქნება სულდგმული; მაშასადამე, აუცილებელი საჭიროებაა ხელი შეეწყოს საოჯახო მრეწველობის გამაგრებასა და განვითარებას მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლებელია, მისი დღეები დათვლილი იყოს ჩვენშიაც...

ხოლო საოჯახო მრეწველობის საჭიროებანი ბევრგვარია და დახმარებაც დიდი სჭირია. თავი და თავი დამაბრკოლებელი გარემოებანი არიან: ტეხნიკურ ცოდნათა მეტად შესამჩნევი ნაკლებლობა და სყიდვა-გასყიდვის საქმის სრული ანარხია.

ჩვეულებური შინა-მრეწველი და ხელოსანი დღესაც იმ იარაღსა ხმარობს და დღესაც იმ ტეხნიკურის ცნობებით სარგებლობს, რომელნიც მის მამა-პაპას ჰქონდა. ცხადია, რომ დღეს, როდესაც კონკურენცია მძლავრობს, როდესაც მომხმარებელთა მოთხოვნილება-გემოვნება გაიწვრთნა და გაიზარდა, შინა-მრეწველმა უთუოდ უნდა გააუმჯობესოს თავისი ნაწარმოები. დღევანდელი განვითარებული ტეხნიკა შეძლებას მისცემს მას არა-თუ უკეთესი ნაწარმოები მიაწოდოს ბაზარს, არამედ გააიაფოს კიდეც იგი. დღეს შინა-მრეწველი, თავის უვარგისის იარაღითა და ცოდნის ნაკლებობის მეოხებით, იძულებულია მთელის თვეობით ამზადოს ნივთი, რომლის მომზადება რამდენიმე დღეში შეიძლება; ამის გამო იგი იძულებულია მეტ ფასად ჰყიდოს თავის ნაწარმოები; ხოლო რადგანაც კონკურენტად მეფაბრიკე-მექარხნე ჰყავს, რომელიც უფრო იაფ საქონელს აწვდის მომხმარებელს, შინა მრეწველი იძულებული ხდება საზარალო ფასში გაასაღოს ნაწარმოები... ამ შემაფერხებელ გარემოების თავიდან აცილება შეიძლება, თუ ტეხნიკურ ცოდნათა ხალხში გავრცელების საქმეს ეშველება რამე. ამ მხრით ჩვენში თითქმის არაფერი გაკეთებულა. საჭიროა ტეხნიკური სკოლები, მუდმივი და დროებითი, უძრავი და მოძრავი, საჭიროა მუზეუმები, სანიმუშო სახელოსნოები და სხვა; საჭიროა აგრეთვე იარაღების საწყობები, საიდანაც მრეწველ-ხელოსანთ მცირე ფასითა და შეღავათიანის გადახდით შეეძლოსთ საუკეთესო იარეღების შეძენა...

უდიდეს დაბრკოლებას შინა-მრეწველობისას შეადგენს აგრეთვე სყიდვა-გასყიდვის სრული ანარხია. შინა-მრეწველისა და მომხმარებელის შუა ჩამსხდარა ჩარჩი-შუამავალი, რომელიც სწორედ ტყავს აძრობს ხელოსანთა და მცირე მრეწველს. ჩარჩი ორის გზით უვლის მრეწველთ და ორივე გზით სულს უხუთავს მათ. პირველად ის იძენს მათთვის შეუმუშავებელს მასალას და მამასისხლათ ჰყიდის მათზე; შემდეგ, როდესაც ნივთი-საქონელი მომზადებულია, ჩარჩი ნახევარ ფასში ართმევს მას მშიერ-მწყურვალ მწარმოებელს და ერთი ორად, ერთი სამად ჰყიდის მომხმარებელზე. ეს ბოროტება კარგად იცის ყველამ ჩვენში, მაგრამ, სამწუხაროდ, მის ასალაგმავად ჯერ არაფერი გაკეთებულა.

ამ შემაფერხებელ გარემოებასთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ მცირე კრედიტის დაწესებულებათა დაარსებით და განვითარებით. სანამ მცირე მრეწველს შეძლება არ ექნება თვითონვე შეღავათიანის ფასით იყიდოს საჭირო მასალა და შემდეგ ნივთი-საქონელი თვითონვე მიაწოდოს მომხმარებელს საკუთარ საწყობებისა და მაღაზიების შემწეობით, მანამდის მისი არსებობა ნამდვილი ტანჯვა-ვაება იქნება და სხვა არაფერი.

სამწუხაროდ, ჩვენში არც სახელმწიფო ბანკი, არც სხვა საბანკო დაწესებულებანი არ აქცევენ ყურადღებას მცირე მრეწველობის საჭიროებას. ტფილისის დურგალთა ამხანაგობა, მაგალითად, რამდენიმე წელიწადია ამაოდ სთხოვს ბანკებს შემწეობას; მეაბრეშუმეები დასავლეთ საქართველოში 30 და 40%-ად ძლივს შოულობენ საჭირო თანხას; ნოხის მქსოველნი აღმოსავლეთ კავკასიაში ნამდვილი ყმები არიან ადგილობრივ ჩარჩებისა...

ჩვენის ფიქრით, საოჯახო მრეწველთა კრებამ უმთავრესი ყურადღება ამ ორ გარემოებათ უნდა მიაქციოს, თუ უნდა, რომ მის შრომიდან რაიმე ხეირი გამოვიდეს ქვეყნისათვის. რუსეთის შიდა გუბერნიებში საოჯახო მრეწველთ იგივე უბედურება ელობებოდა და დღესაც ელობება წინ და ერობამ სწორედ ცოდნისა და კრედიტის გავრცელებას მიაქცია ყურადღება. მისმა ამხრივმა მოღვაწეობამ, მაგალითად, ვიატკისა და პერმის გუბერნიებში, თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო და ამიტომ ჩვენის მოღვაწეთათვის ხსენებულ ერობათა ცდა წასაბაძავი მაგალითი უნდა იყოს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ლიბერალ-იმპერიალისტებმა სწორედ საქმე გააჭირეს, ირლანდიელებზე ლაპარაკი საქმედ გაიხადეს: ერთსა და იმასვე გაიძახიან: ლიბერალური დასი ირლანდიელებს უნდა მოშორდეს და ცალკე მარტოკა იმოქმედოს. ნიუკესტლში (ტაინზე) 28 სექტემბერს მეორე გამოჩენილმა ლიბერალ-იმპერიალისტმა ბ-ნ ედუარდ-გრეიმ ილაპარაკა და სავსებით დაეთანხმა ბ-ნ ასკიტს: ლიბერალებმა ირლანდიელების დასს თავი უნდა დაანებონ და ცალკე დამოუკიდებლად იმოქმედონო. გრეიმ სთქვა:

«ირლანდიელი დასის მეთაურმა რედმონდმა ურჩია ირლანდიელებს, ცალკე იმოქმედეთო, ამიტომ აღარ უნდა გაუკვირდეს, თუ სხვებმაც იგივე ურჩიეს თავიანთ დასებს. თუ ირლანდიელების შემწეობით გაიმარჯვეს, ლიბერალები ვერ შეასრულებენ იმ პირობას, რა პირობითაც ირლანდიელები შემწეობას გაუწევენ. ირლანდიის საკუთარ პარლამენტზე მოგახსენებთ ყველა იმ ამბების შემდეგ რაც ეხლანდელ ომის დროს მოხდა, ლიბერალი დეპუტატები ვერა დროს ვერ დაითანხმებენ ინგლისელ ამომრჩევლებს, რომ ირლანდიაში საკუთარი პარლამენტი დაარსდეს. დარწმუნებული ვარ ირლანდიელები დაბოლოს პარლამენტს უსათუოდ მიიღებენ მაგრამ ეს საქმე თან და თან ნელ-ნელა უნდა შესრულდეს. ლიბერალური დასის განცალკევება ირლანდიელებისაგან კიდევ იმიტომ მინდა, რომ მომავალ წლებში მთავრობას ბევრი დიდი და მძიმე საიმპერიო საქმე ექნება გადასაწყვეტი. ამისთანა საქმეების დროს დიდი მხნეობა და სიმტკიცეა საჭირო და ამიტომ სასურველი არაა, რომ მთავრობა 80 ირლანდიელი დეპუტატის ხელში იყოს, რადგანაც ირლანდიელები მტრულად უყურებენ ბრიტანიის ინტერესებს. ჩვენი მმართველობის ძველი წესი უსათუოდ უნდა დავიცვათ. ბრიტანიას ყოველთვის ორი დასი უნდა ჰმართავდეს: კონსერვატორები და ლიბერალები. აი ამ წესის დასაცველად საჭიროა, რომ ლიბერალურმა დასმა თავის წინანდელი ძლიერება თავისისავე საკუთარის ძალითა და ღონით, ირლანდიელების დაუხმარებლად, დაიბრუნოს. ეს საქმე, ჩემის აზრით, ადვილი მოსახერხებელია.

✿ ლონდონში ხმა დადის, მეფე ედუარდ, გვირგვინის კურთხევის დროს, ლორდ სოლსბერის ჰერცოგის ხარისხს მისცემსო.

✿ ცნობილმა გენერალმა ბულერმა ვოლონტერების ნადიმზე ვესტმინსტერში ილაპარაკა. გენერლის ნალაპარაკევმა ყველანი გააოცა: ან კი როგორ არ გააოცებდა, როდესაც ბულერი სულ თავის თავს ქებას მოჰკუოდა და ტრაბახობით ზეცდა წაუდა. ტუგელის გმირს უთქვამს:

ყველაფერს ცხადადა ვხედავ... თქვენ ცოლი შეგირთავთ.

სიკო. დიაღ, მაგრამ მაგასაც თავისი საბუთი აქვს...

მინადორა (წამოდგება, მკაცრად). დიაღ, თავისი საბუთი აქვს და საბუთია: სიცრუვე, მოტყუება, გაიძვერობა... მონდობილი ადამიანის გაუპატიურება!.. სინიდისის სიყალბე, შემოფიცული სიტყვის უარ-თქმა.

სიკო. ერთი სიტყვა მათქმევინეთ...

მინადორა (აღელვებული). თქვენ ისარგებლეთ ჩემი წრფელი სიყვარულით, ჩემის უმანკო მონდობით... წინ დაუხედავათ, ბრმა სიყვარულით მოხიბლულმა, მივატოვე ყოველივე ჩემთვის ძვირფასი... (ტირილი მოუვა.) შენი სიყვარულით დავივიწყე ყოველივე ჩემთვის წმინდა... თვით ჩემი უმანკოებაც-კი, და მივენდე თქვენს ვაჟკაცურ მტკიცე სიტყვას, რომ ჩვენ სიკვდილამდის ერთმანერთისა ვიქნებოდით; და ეხლა კი რას ვხედავ: უსირცხვილოდ და მდაბლად მოტყუებული ვარ, მიწასთან გასწორებული!! (მკაცრად.) მე ეს მდგომარეობა სიცოცხლეთ მიღირს და ყოველ-გვარ ღონის-ძიებას ვიხმარ სასტიკი შურის-ძიებისათვის! სხვა რაღა დამშთენია?! ნათესაობას მე თვალით ველარ დავენახვები.. გათხოვებით ვერ გათხოვდები: ვინ შემირთავს მე უცნობს ცარიელ-ტარიელ ქალს!.. და თუ გაიგებენ ჩემს თავს-გადასავალს, მაშინ ხომ უფრო ზედ ვინ შემომხედავს!.. სიკვდილის მეტი ხსნა არ არის ჩემთვის!.. მაგრამ... მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ჩემებრ წვენს იწვნევს ჩემი დამღუპველი!.. მე თქვენზე იმითი მაინცა ვსდგევარ მაღლა, რომ თქვენდამი უღრმესს სიძულვილს პირში გეუბნებით! (ჩქარა მიდის.)

სიკო (დაეწევა) მე შენი მოღალატე არა ვარ! (მოაბრუნებს.) აი, დაჯექი და მოისმინე.

მინადორა. რაღა უნდა მოვისმინო, როდესაც ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელია.

სიკო. არ არის შეუძლებელი. მე განგებ მოვახდინე ასე საქმე: მე არაფერი არ მებადა, შენ კი გატაცებით შემიყვარდი... არ შეიძლებოდა, არაფერი მსხვერპლი არ მომეტანა!.. ქურდობა და ავაზაკობა მე არ შემეძლო...

მინადორა. თქვენა გგონიათ, ავაზაკობაზე ნაკლები საქმე ჩაიდინეთ? რა ნამუსით ირთავდით ცოლს? რითი ხელმძღვანელობდით?

სიკო. მართალია, ჩემი ცოლის შერთვის მიზანი ანგარება იყო, მაგრამ ამ ანგარებას ის გასამართლებელი საბუთი ჰქონდა, რომ უზრუნველ ვყოფდით ჩვენს ცხოვრებას ..

მინადორა. ვის ჩვენ ცხოვრებას?

სიკო. ჩემსა და შენს ცხოვრებას ..

მინადორა. ცოლი?

სიკო. ცოლიც ჩვენთან იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ის არაფერს დაგვიშლიდა... აი, სწორედ ამგვარი ქალი ამოვირჩიე...

მინადორა (იქით, ზიზღით). ღმერთო! რა საზიზღარი ზნე-გახრწნილებაა და დამდაბლება! (იმას) ვსთქვათ, ეგა გსურდათ .. მე მითხრეს, რომ თქვენ ცოლს დედა და ნათესავები ჰყავს; აქ, ამ სახლში, როგორ შეიძლიან ცხოვრება: არა გკითხავენ, ვინ არისო?

სიკო. ნათესავი არის მეთქი!.. ჯერ ერთი, ვინ გამიბედავს კითხვას და მეორეც, მე აქ ცხოვრებას სულაც არ ვაპირებ...

მინადორა. მაშ რას აპირებთ?

სიკო. მე ვითხოვ, მომცენ, რასაც დამპირდნენ, და სხვაგან გადავალთ მე შენ და ჩემი ცოლი; ამათ ახლოსაც არ გავიტარებ... როგორც გვინდა, ისე ვიცხოვრებთ...

მინადორა. მერე, რომ არ მოგცენ, რასაც დაგპირდნენ? რომ გითხრან, აქ იცხოვრეო?

სიკო. მე აქ ცხოვრება არ შემიძლიან. არ მომცემენ და ქალსაც აქ დავუტოვებ, და მე და შენ ერთად ვიცხოვრებთ...

მინადორა (იქით). ღრმა გარყვნილებაა! (იმას) ეგ მოსაზრება ან ბავშვურია, ან ავაზაკური... უფრო კი ავაზაკური!. მერე აღარც კანონია ქვეყანაზე, აღარც სამართალი, აღარც ადამიანობა, აღარც ხალხი?! ცოლს მიატოვებ... გადახვალ...,

სიკო. აკი ვამბობ, რომ მე ჩემსას მოვითხოვ, არ მომცემენ და მაშ რა ვქნა? ვინ გამამტყუვნებს?!

მინადორა. მაგ ოსტატობით ფონს ვერ გახვალთ! არა, აქ ჩემთვის არაფერი არ არის სანუგეშო! ჯვარ-დაწერილ ცოლს ნება აქვს, ყველა კანონიერი მოითხოვოს და მე კი სად შემიძლიან! არა, ან ავად, ან კარგად უნდა მოვუარო ჩემ თავს (მიდის).

სიკო (ხელს მოჰკიდებს). მოიცა, რა გითხრა. მე მხოლოდ შენი კეთილდღეობისათვის ვფიქრობ... გამიგონე: ჯვარის დაწერა მაინც და მაინც არაფრად არ მიმაჩნია! სანამ ცოცხლები ვართ, ერთად ვიქნებით. .

მინადორა. ვინ არის თავმდები, რომ ორი დღის შემდეგ სახლიდან არ გამაგდებთ? ან კიდევ სულ არ შემიშვებთ სახლში? არა, მე დღესვე ქვეყანას ვუამბობ თქვენს საქციელს, თქვენს კაცობას! დიე, ქვეყანა იყოს ჩვენი მსაჯული, და მერე...

სიკო. ტყუილად შფოთავ! მე მალე და ადვილად მოვახერხებ, რასაც გეუბნები... (სტოლის უჯრიდან თამასუქის ბლანკს ამოიღებს და სწერს.) ხომ იქნები და იქნები ჩემთან და რომ უფრო დამშვიდებული იყო, აი ეს ბარათი გქონდეს. გამოგადგება.!.

მინადორა (გამოართმევს). ეს რა არის?

სიკო. თამასუქი, რომლის ძალითაც მე შენი ფული მმართებს—სამასი თუმანი, და რომელიც შეგიძლიან, მომთხოვო, როცა გნებავს ..

მინადორა (თამასუქს გადააგდებს, ზიზღით). ეს არის ჩემი დაცემის და დაცინვის სასყიდელი?! გინდა ფულით შეისყიდო ის მსხვერპლი, რომელიც მე შემოგწირე? როგორ წარმოვიდგენდი, თუ აგრე დაცემული ადამიანი იქნებოდით!. ყოველ წუთს უფრო და უფრო მაძულებთ თავს!..

სიკო. ამითი ხომ ჩემს ვალს არ ვიხდი... ისე .. შეინახე...გამოგადგება...

მინადორა. ოჰ, ღმერთო! რა საშინლადა ვარ შემცდარი! (მიდის).

სიკო. მითხარი მაინც, სად ჩამოხდი!

მინადორა. აი, აქვე—სასტუმროში. რათა გნებავთ?

სიკო. ნება მომეცი, მოვიდე და უკანასკნელად მოგელაპარაკო... დიდი განსაცდელი მომელის...

მინადორა. არ მესმის, რაღა საქმე გაქვთ ჩემთან!..მაინც მობძანდით! (გადის)

(დასასრული იქნება)

ა. ცაგარელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

«მას აქეთ, რაც პირველი კორპუსის უფროსად დამნიშნეს, გაზეთებმა სულ ჩემზე მოიცადეს და ჩემი კიცხვის მეტს აღარას სწერენო. მაგრამ ამ თანამდებობისათვის ჩემზე უფრო შესაფერისი გენერალი განა არის ვინმე მთელს ინგლისშიო. აბა თუ არის ჩემზე ღირსეული გენერალი, დაასახელონ გაზეთებმა. გაზეთებმა სწორედ მას აქეთ დამიწყეს ლანძღვა, რაც ჩემთან ერთი «საერთაშორისო ჯაშუში» მოვიდა და მირჩია: ბევრი მტერი გყავს და სამსახურიდან გადიო. ამის შემდეგ არ გასულა ორი კვირა და ყველა გაზეთებმა «ტაიმს»-ის მეთაურობით ლანძღვა დამიწყეს. ყველა გაზეთებმა ჩემზედ მოიტანეს იერიში და ყველანი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ».

დასასრულს ბულერს ეთქვა; მართალია 1899 წელს გენერალ უაიტს მივწერე, რომ ლედისმიტი ბურებისთვის დაენებებინათ. ასეთ გაჭირვებაში ვიყავით, რომ ვინ მოიფიქრებდა, თუ ლედისმიტი ბურებს გადარჩებოდათ.

გაზეთებსაც ეს უნდოდათ: თავად არ აკლდა ბულერს სასაცილობა და ეხლა ხომ სულ მასხარად გააკეთეს. «ტაიმს»-მა დასწერა: ნეტავი ვიცოდეთ, ბულერი სწორე ჭკვაზეა, თუ შეიშალაო. ბევრმა გაზეთმა ურჩია მთავრობას, ამისთანა უნიჭო და ტრაბახა გენერალი სამსახურიდან დაითხოვეთო. ყველაზე სასაცილო ისაა კიდევ, რომ ამას წინად მეფე ედუარდ მე-VII-ს ბულერისათვის წერილი მიუწერია და დიდი თანაგრძნობა გამოუცხადებია. გენერალსაც მეტი არ უნდოდა: ისე გადიდგულებულა, რომ თავისი წინანდელი ცოდვები სულ მთლად დავიწყებია.

საფრანგეთი. წარსულ პარასკევს ბიუჯეტის კომისიამ რამდენიმე საყურადღებო ცვლილება შეიტანა ბიუჯეტში. თავდაპირველად, კომისიამ ბიუჯეტიდან ამოშალა ის კრედიტები, რაც მშვიდობიანობის დროს სამხედრო სასამართლოების შესანახავად დანიშნული. ამას გარდა, კომისიამ დაადგინა, სავაჟო სასწავლებლებში ღვდლის თანამდებობა მოისპოსო. დასასრულ, კომისიამ რეზოლიუცია დაადგინა, ქალების ყველა დაბალი სასწავლებლები სამი წლის განმავლობაში საერო სკოლებად გადააქციონო.

✡ თუ ბერების კრებული ახალ კანონს არ დაემორჩილება, იმისი ქონება სასამართლოებმა უნდა გაყიდონ. სასამართლოები ამ საქმეს მოკლე ხანში შეუდგებიან. შინაგან საქმეთა სამინისტროს კრებულების ქონების სია აქვს შედგენილი. ამ ჟამად მთელს საფრანგეთში პოლიციის მოხელეები გამოძიებას ახდენენ, უნდათ, რომ უფრო ზედმიწევნით გაიგონ, თუ რა ნაირი და რამოდენა ქონება აქვს ყოველ კრებულს. ადმინისტრაციამ მოახსენა მთავრობას, რომ პარიზელი ყველა ის ბერები, ვინც ახალ კანონს არ დაემორჩილნენ, წავიდნენ კიდეც პარიზიდანაო. მართალია, ზოგიერთი ბერი, მომეტებულ ნაწილად იეზუიტები, პარიზში დარჩნენ, მაგრამ რადგანაც ეს ბერები თითო-თითოდ კერძო სადგომებში სცხოვრობენ და არა საერთოდ, ამიტომ მოხელეებიც ხმას არ სცემენ; მარტო მამულებს და ქონებას გაუყიდიან. მაგრამ ქონების გაყიდვა ადვილი საქმე როდი იქნება, რადგანაც ზოგიერთმა კრებულმა მოასწრო და თავისი უძრავი ქონება სხვას გადასცა.

✡ ბერების აკრძალული კრებულები ათასნაირ ხერხსა ჰხმარობენ, რომ ახალი კანონი თავიდან აიცილონ. სენ-ომარში მონაზონ ქალებს სასწავლებელი აქვთ დაარსებული და დღემდე ფიქრადაც არ იფიქრეს მთავრობისათვის ნება-რთვა ეთხოვათ. სასამართლოს მოხელეებმა ეს მონაზონები სასამართლოში მისცეს. მონაზონებს თავიანთი ტანისამოსი გაუხდიათ და უბრალო საერო ტანისამოსი ჩაუცვამთ და გამოუცხადებიათ: ჩვენ მონაზონები აღარა ვართო.

შეერთებული-შტატები. გაზეთები იუწყებიან: პრეზიდენტი რუზველტი ყოველ-ნაირად სცდილობს, რომ ახალი პროექტი ნიკარაგუას არხის თაობაზე სენატს მიაღებინოს. პრეზიდენტი ამ საგანზე გავლენიან სენატორებს მოელაპარაკა და ყველანი დაითანხმაო. რუზველტი იმ აზრისაა, რომ ყველა სახელმწიფოს ნება უნდა ჰქონდეს ნიკარაგუას არხით ისარგებლოსო. პრეზიდენტი, სხვათა შორის, სენატორ მაჰონსაც ელაპარაკა ამ საგანზე. ეს სენატორი მეტად წინააღმდეგი იყო ახალი პროექტისა და მის გაუქმებას თხოულობდა. რუზველტმა დაარწმუნა, რომ თუ ეგრე მოვიქცევით, მარტო ინგლისს გავახარებთ და იქნება ნიკარაგუას არხს ხელაც ვეღარ ვკიდოთო. მაჰონი დაჰპირდა რუზველტს ახალ ხელშეკრულობას წინააღმდეგობას აღარ გავუწევო.

✡ ნიუ-იორკიდან იწერებიან: ამერიკის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონგრესი ქალ. მექსიკაში 21 ოქტომბერს მოხდებაო.

ავსტრო-უნგრეთი. ჩეხიის ლანდტაგის წევრთა არჩევანი გათავდა. ყველაზე საყურადღებო ამბავი ისაა, რომ პანგერმანისტების დასი გაძლიერდა. წინანდელ ლანდტაგში პანგერმანისტებს 6 წევრი ჰყვანდათ, ეხლა კი 22 ეყოლებათ. სხვათა შორის, ამორჩეულები არიან ვოლფი და კიზენფოლმი. გერმანელი პროგრესისტები კი ძლიერ დაცოტავებულან. პანგერმანისტები ლანდტაგში უფრო მხნედ მოიქცევიან და ამას გარდა უფრო უკიდურესი, რადიკალური პროგრამაც აქვთ.

✡ ქალ. ლვოვში 26 სექტემბერს (ახ. სტ.) რუსინთა სტუდენტებმა, ვაჟებმაც და ქალებმაც, კრება მოახდინეს. კრებას ლვოვის უნივერსიტეტის პროფესორები გრუშევსკი, ღნესტრჟანსკი და სტუბინსკიც დაესწრნენ. კრებაზე სტუდენტებმა კომარინსკიმ და კოსევიჩმა ილაპარაკეს. ორატორებმა გაიხსენეს, ლვოვში ბევრი სტუდენტი—რუსინი (600 კაცი) სწავლობსო და ურჩიეს კრებას, მოვითხოვოთ, რომ ლვოვის უნივერსიტეტში ეხლანდელ ხუთ კათედრას გარდა, კიდევ ახალი კათედრები დაარსდეს იმ აზრით, რომ ყველა საგნებს რუსინულ ენაზე ასწავლიდნენ რუსინთა სტუდენტებსაო; სახელმწიფო ეგზამენს რუსინულ ენაზე უნდა აბარებდნენ მსურველებსაო; უნივერსიტეტის სენატმა უფლება უნდა მისცეს რუსინთა სტუდენტებს, რომ სხვა-და-სხვა საქმეებზე ქაღალდები რუსინულ ენაზე მისწერონ ხოლმე უნივერსიტეტის მმართველობასაო. კრებამ ერთხმად მიიღო ეს რჩევა, ამის თაობაზე განაჩენი დაადგინა და გადასწყვიტა, ეს განაჩენი სამინისტროსა და უნივერსიტეტის სენატს წარუდგინოთო.

ახალი ამბავი

✦ გუშინ სალამოს ტფ. ქალაქის საბჭომ დაადგინა გამგეობის მეოთხე წევრის არჩევნები 23 ოქტომბერს მოახდინოს.

✦ გუშინ დაიწყო სწავლა ტფილისში ახლად დაარსებულ მხატვრობის სკოლაში. მოსწავლე 80-ზედ მეტი ჩაეწერა.

✦ სათანადო უწყებას კითხვა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ტფილისის გუბერნიის ხალხის გამოსაკვები კაპიტალის ერთი ნაწილი მოხმარდეს პირდაპირ თავის დანიშნულებას, ხოლო მეორე ხალხში მეურნეობის გაუმჯობესობის საქმეს.

✦ მერძევეთა და საქონლის მომშენებელთა შაბათის კრებამ დაადგინა: 1) ნორმალურ რძეთ ჩაითვალოს ისეთი რძე, რომელშიაც არა ნაკლებ 2% ქონისა იქნება; რძეში არ უნდა ერიოს სხვა-და-სხვა რამე; ჰუჰყიანი რძის გაყიდვა აიკრძალოს; წესის დამარღვეველი უნდა დაისაჯოს; 2) კარაქში უნდა იყოს არა ნაკლებ 80% ქონისა და გადნობილ ერბოში კი 96% (ეს ნორმა სავალდებულო არ არის სოფლელებისათვის); აიკრძალოს ერბოში სხვა ნივთიერებათა გარევა; 3) ჩერნომორიის გუბერნიაში გაიგზავნოს ინსტრუქტორი საქონლის მოშენებაზე ცნობების გასავრცელებლად; 4) მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებაში უნდა იქნეს საქონლის მოშენების მცოდნე სპეციალისტი; გაიმართოს ამ საგანზე ხალხში ცოდნის გასავრცელებლად კურსები, სკოლები და კრებები და დაინიშნოს ინსტრუქტორები; 5) გაიხსნას საშუალო სასწავლებელი მერძეობისა და საქონლის მოშენებისა; 6) ეთხოვოს სამეურნეო საზოგადოებას, იშუამდგომლოს მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე 60 ახალ სისტემის ვაგონების გამოგზავნაზე რძის ნაწარმოებისა და ხილის გადასაზიდავად; 7) ეთხოვოს მიწად-მოქმედების სამინისტროს მიექციოს ყურადღება კავკასიის მეცხვარეობას და გამოკვლეულ იქმნას იგი მეცნიერულად. კრების ყველა დადგენილება დაიბეჭდება და წარედგინება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას.

✦ რკინის გზაზე, სადგურ ნიგოითსა და ლანჩხუთს შუა, „არტელშჩიკის“ გაძარცვის შესახებ კიდევ შემდეგ ცნობებს გვატყობინებენ: ორი ბოროტ-მოქმედთაგანი ბათუმიდანვე გამოჰყოლია მატარებელს, სამი შემდეგ რომელიღაც სადგურზე ამოსულან. სანამ საქმეს შეუდგებოდნენ, ვაგონის ორივე კარებში ჩამდგარან თოფებით ხელში და მგზავრებისათვის უბრძანებიათ არ განძრეულიყვნენ. როგორც გადმოგვცეს, „არტელშჩიკს“, გარდა წაღებულ 2500 მანეთისა, კიდევ უნდა ჰქონებოდეს ტანისამოსის ქვეშ 15000 მანეთამდე. ავაზაკებს უთუოთ ამ ფულების წაღების იმედი ჰქონდათ, მაგრამ ვეღარ წაუღიათ.

✦ დ. სოჯში არსებული თამბაქოს სადგური, როგორც შევიტყვეთ, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ოზურგეთის მაზრაში გადააქვთ.

✦ ამ ბოლოს დროს ქუთაისის გუბერნიიდან დიდ-ძალი კვერცხი და ქათამი გააქვთ საზღვარ-გარედ, განსაკუთრებით მარსელს, ჰამბურგს, ლონდონსა და ბერლინში. 1059 სოფელი გზავნის საზღვარ გარედ 1,200,000 მანეთის კვერცხსა და ქათამს. გასაგზავნი საქონელი უმთავრესად თავს იყრის სამტრედიაში (800.000 მანეთის). ამ ბოლოს დროს ფასები დაეცა. რადგანაც ეს მხარე ხალხის მეურნეობისა თან და თან ვითარდება გუბერნიაში, ფრინველების მომშენებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას გადაუწყვეტია იშუამდგომლონ სათანადო მთავრობის წინაშე მოძრავ გამოფენების, სამაგალითო საქათმოების, კურსების და სპეციალურ სკოლის გამართვა-მოწყობის შესახებ.

✦ ბათუმის ოლქში, როგორც გვატყობინებენ, საქონელს ციმბირის წყლული ჩირი დარევია.

✦ ზაქათალის ოლქში საქონლის ჰირის აცრას კარგი შედეგი მოჰყვა; აცრილი საქონელი თან და თან რჩება ავადმყოფობისაგან.

✦ „კავკაზი“ სწერს, რომ ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი მალე კახეთში მიდის, რათა დაათვალიეროს იქაური სასოფლო და სამაზრო დაწესებულებანი.

✦ ცეცხლის ქრობის საქმის მოწესრიგებისათვის შემდგარმა კომისიამ დაასრულა თავისი შრომა და წარუდგინა იგი ქალაქის გამგეობას ტფ. პოლიცმეისტრის პროექტთან ერთად. ამ პროექტებით, ამ საქმის რეორგანიზაცია დაჯდება 24 ათასი მან. წელიწადში; ფეჩისა და ბუხრის მწმენდელთა არტელის შენახვა და სხვა ხარჯი—23,600 მან.; შემოსავალი-კი ქალაქს ექნება 51 ათასი მან.

✦ განსვენებულის ზუბალიშვილის სახელობაზე განზრახულ თავშესაფარის ამშენებელმა კომისიამ დაასრულა პროექტის შედგენა და 15 ოქტომბერს წარუდგენს საბჭოს. თავშესაფარის აშენების ხარჯი კომისიამ ხუთი ათასი მანეთით შეამცირა, ასე რომ სულ შენობა 80 ათასი მანათი დაჯდება.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ახალქალაქის ახლო გაიხსნა მეურნეობის დაბალი სკოლა. სკოლის სპეციალისტი-ოსტატი სჭირია, რომელსაც ჯამაგირად 600 მან. ენიშნება წელიწადში. სკოლის ადმინისტრაციას თხოვნით მიუმართავს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის, მოსძებნოს და გაუგზავნოს სპეციალისტი.

✦ ყავახანების მეპატრონეთა კრება, რომელიც გუშინ უნდა მომხდარიყო საქალაქო გადასახადის გასანაწილებლად, არ შესდგა და სხვა დროისთვის გადაიდო. იმავე გადასახადის გასანაწილებლად დაინიშნა კრებები: მეტრაქტირეთა—9 ოქტომბრისათვის, სანოვაგის ვაჭრებისა—10 ოქტომბრისათვის და სასტუმროების მეპატრონეთა—11 ოქტომბრისათვის.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის ტფილისის საოლქო მმართველობა აცხადებს, რომ სოფ. ველისციხეში (კახეთი) დაარსდა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

✦ დაბა ხაშურიდან გვატყობინებენ, რომ იქ შაბათს 6 ოქტომბერს რაღაც მიზეზისა გამო ცეცხლი გაჩენილა, რისაგანაც დაზარალებულა სამი სახლი. ზარალი დიდია თურმე.

✦ ამ დღეებში ტფილისში დაბრუნდა კავკასიის საბეითალო ნაწილის უფროსი ბ-ნი ზოლოტარიოვი.

✦ განჯის გუბერნიის სოფ. ხურნაბადში საქონლის ასაცრელ სადგურის მოსაწყობად მთავრობის განკარგულებით შესდგა განსაკუთრებული კომისია.

✦ დღეს, 9 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში სხვათა შორის განსახილველად დანიშნულნი არიან შემდეგი საქმეები: სიდონია გურიელისა, რომელსაც მაჭანკლობა ბრალდება; ალქესი კოჩიაშვილისა, სააქციზო წესდების დარღვევა ბრალდება; გიგო ხასეშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ბრალდება და დათა რეხვიაშვილისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-940 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

✦ ფინანსთა სამინისტრომ ახსნა, რომ ის თხოვნა, რომელიც ეგზავნება საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტში, თავისუფალია სადერბო გადასახადისაგან.

✦ 3 ოქტომბერს პეტერბურგში შესდგა პირველი შეერთებული კრება საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის ორივე განყოფილებისა (ძირითადი და განსაკუთრებული განყოფილებანი). ამ კრებას მიზნად აქვს სამეცნიერო კომიტეტის მოქმედების გაერთიანება. როგორც გაზეთები იტყობინებიან, სხვათა შორის განზრახვა აქვთ შესცვალონ წიგნებისა და სახელმძღვანელოებისათვის არსებული მოძველებული წესი სამ-ხარისხოვან მოწონებისა: ხმარების ნებართვა (допущеніе), მოწონება და რეკომენდაცია.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს ცეცხლის მქრობელ რაზმის გაუმჯობესების მზრუნველ კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა ალიბეგოვმა თავი დაანება თავისს თანამდებობას.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა დააწესოს ქალაქის თვით-მმართველობის მოხელეთა მორიგობა. ქალები იმორიგებენ დილის 9 საათიდან 3-მდე, კაცები კი 3-იდან 9-მდე.

✦ ხვალ გამოვა და დაურიგდება ხელის-მომწერთ ჟურნალ „მოამბის“ მე-9 ნომერი შემდეგის შინაარსით: 1) „ისნის ცისკარი“, ისტორიული მოთხრობა ვ. ბარნოვისა.—2) „სიმღერა“, ლექსი ბაჩანასი.—3) „ღვინის ქურდი“, ქიზიყელებზე ქართლში გაგონილი პატარა ამბავი შ. არაგვისპირელისა.—4) „გურია-აჭარა“, მგზავრის შენიშვნები თ. სახოკიასი.—5) „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“ ე. თაყაიშვილისა.—6) „ძველი თაობა“, წერილი მეოთხე აჩილ ჯორჯაძისა.—7) „უცხოეთის მიმოხილვა“—ოსმალეთის სომხეთის საქმე (მოკლე ისტორია).—მუშათა პარტია და ეროვნება.

✦ შორაპნიდან გვატყობინებენ: 7 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, მებარგე ერმალო აბულაძიანმა მოინდომა მგზავრთა მატარებელზე შეხტომა, მაგრამ დაუცდა ფეხი და ვაგონს ქვეშ მოჰყვა ბორბლებმა ზედ გადაუარეს და ორივე ხელი წაჰრეს. დაშავებული სურამის სამხედრო საავადმყოფოში გაგზავნეს.

კავკასიის გამოფენა

გამოფენის თეატრის მმართველთ საფანელი შემოკლებიათ... მათი საქმე ისე ცუდათ წასულა, რომ გასართობის პროგრამის შემცირებას შესდგომიან. სახელდობრ, უნდა დაითხოვონ თურმე: ქართული ხორო, მებალალაიკეთა ორკესტრი, ადგილობრივი მოცეკვავეები და სხვა.

**

გუშინ, მ. ი. დოლუხანოვის თავმჯდომარეობით, დაიწყო მეთევზეობის განყოფილების საექსპერტო კომისიის მუშაობა.

**

კავკასიის გამოფენის მიწად-მოქმედების განყოფილების საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი ტუსკაევი, ხოლო ექსპერტად ბ-ნი მორევი. ამ განყოფილების ექსპონატების ექსპერტიზას 10 ოქტომბრიდან დაიწყებენ.

**

ვიღაც იბრაჰიმოვს წარმოუდგენია გამოფენისათვის მეტად ხელოვნურად ნაკეთები ხონჩა და სტოლი. დაფასებულია 1400 მან.

კვირას, 7 ოქტომბერს კავკასიის გამოფენის დასათვალიერებლად იყო სულ 5370 კაცი; ამათგან უფასო ბილეთებით 59, ამავე დღეს საღამოს 385 კაცი, აქედან 16 უფასო ბილეთით.

ქრონიკა

ამ დღეებში ადგილობრივ რუსულ გაზეთებში წავიკითხეთ ცნობა იმის შესახებ, რომ დეკანოზის ვასტორგოვის თავმჯდომარეობით შემდგარა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს გეგმა ქართული ენის ახალ სახელმძღვანელოსი სამრევლო სკოლებისათვის.

ეტყობა, ახალ მეთვალყურეს არ ეპიტნავება არსებული ქართული ენის სახელმძღვანელონი—„დედა ენა“ და „ბუნების კარი“—რომელნიც რამდენჯერმე მოწონებულია უწმინდესის სინოდისაგან, და სწადიან თავის გემოზე შედგენილი სახელმძღვანელოთი გაგვაბედნიეროს!!

* * *

ვინ არ იცის, რომ ეხლანდელი სკოლა ჩვენში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოზარდ თაობის მომზადებას, მხოლოდ სასწავლო საგნების შესწავლის მხრივ სრულებით არ ზრუნავს შექმნას იგი ადამიანი—წევრი საზოგადოებისა, არ სცდილობს განუვითაროს მას საზოგადოებრივი ინსტიქტები.

«ჩვენი საზოგადოება, ამბობს ქ. ბ. ვახტეროვისა ჟურნალ „ობრაზოვანიეში“, საკვირველის გულ-გრილობით ეკიდება ამ სერიოზულ კითხვას და მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ისმის აქა-იქ ბავშვების საერთო თამაშობაზე და საერთო ექსკურსიებზე ლაპარაკი. საზღვარ გარეთ კი მოზარდ თაობის აღზრდის ამ მხარეს დიდ ყურადღებას აქცევენ. ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში ათასობითაა ბავშვების კლუბები და საზოგადოებები. 1899 წ. საფრანგეთში ექვსი ათასამდე ამისთანა საზოგადოება ყოფილა. ასეთის საზოგადოების დაარსება მეტად მარტივად ხდება: მასწავლებელი შეკრებს მოწაფეებს და წინადადებას აძლევს შეადგინონ საზოგადოება; შემდეგ შეიმუშავებენ წესდებას, ამოირჩევენ თავმჯდომარეს, ბიუროს, დანიშნავენ პატარა საწევრო გადასახადს, რომ რაც შეიძლება მეტმა რიცხვმა მიიღოს მონაწილეობა. საზოგადოების მიზანია,—გართობა, თვით-განვითარება, გიმნასტიკა, სეირნობა, წარმოდგენების გამართვა და სხვა. უფროსები სცდილობენ, რაც შეიძლება, ნაკლები მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეების საზოგადოების საქმეებში, ნებას აძლევენ პატარა მოქალაქეებს თავიანთ სურვილზე და გემოზე მოაწყონ საზოგადოება. ამ გვარ საზოგადოებათა მნიშვნელობა დიდია. ფერსანის სიტყვით, ბავშვები სწავლობენ თანხმობით მოქმედებას, ერთმანერთის პატივისცემას, ერთი-მეორის აზრის შეწყნარებას, სხვის სასარგებლოდ თავის თავისუფლების შეკვეცას, ერთის სიტყვით ისინი აქ იღებენ სამოქალაქო ცხოვრების პირველ გაკვეთილებს“.

ჩვენ სკოლებში კიო, სამართლიანად შენიშნავს გაზეთი „ნოვოსტი“, არა თუ ამის მზგავსი არა არის-რა, ბავშვები ერთი წამითაც კი არ არიან თავისუფალნი, რომ შეიძლონ ზედამხედველის დაუსწრებლად რამეზე ილაპარაკონ.

თეატრი

ქართული თეატრი. „გაცრუებული იმედები“, ორ მოქმედებიანი კომედია აზიანისა და „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“, ა. ცაგარლისა.

აზიანის ახალი პიესა „გაცრუებული იმედები“ ერთობ მარტივის შინაარსის და ტეხნიკისაა: სტეპან ივანიჩ ზარალოვს (ვ. აბაშიძე) და მის ცოლს ნინოს (ნ. გაბუნია) ახლად კურს დამთავრებული შვილი ექიმი ვანო (სვიმონიძე) და ქალი სონა (კარგარეთელი) ჰყავს. მოხუცი დედ-მამა (გაბუნია მეტად ახალგაზდა იყო თავის როლთან შედარებით), რომელთაც ბევრი შრომა და ფული დაუხარჯავთ თავიანთ შვილებზე, ამათგან მოელის სიბერის დროს გამდიდრებას და განცხრომით ცხოვრებას. ზარალოვი შვილსაც ეგრე უყურებს, როგორც ნაყიდ საქონელს—რაც დაუხარჯავს, ერთი ათად უნდა აიღოს. დედა, რომელსაც შვილი ყოველთვის უფრო უყვარს, ასე მკაცრად არ ეპყრობა თავის შვილს, მაგრამ მასაც ვერ გაუგია შვილის კეთილშობილური ხასიათი: არ ესმის, თუ ღარიბს რატომ ფულებს არ ახდევინებს, რატომ თავის გამოჩენას არ სცდილობს. კიდევ უფრო გაუგებარია მათთვის სონას სურვილი კურსებზე უმაღლეს განათლებისათვის წასვლისა. აი, ამ «მამებისა» და „შვილების“ მარტივ დაპირდაპირებაზეა აგებული მთელი პიესა.

კომედიის დანარჩენი პირები ამ მდგომარეობის ილიუსტრაციის როლს თამაშობენ. კეკელა (ჩერქეზიშვილი) იგივე ნინოა, ისიც გაბედნიერებას (კეკელისებურს) მოელის «კურსოვნიკი» შვილისაგან (შათირიშვილი) და ისიც, რასაკვირველია, წინააღმდეგობას შეხვდება „განათლებულ“ შვილის მხრივ—ადვოკატია და მხოლოდ პატიოსან საქმეებს ჰკიდებს ხელს და ორი-ათას თუმნიან ქალის მაგიერ უმზითვო სონას ირთავს.

ეს არის და ეს პიესის მთელი შინაარსი. ტემა არ ახალია ძველია, მაგრამ ავტორმა ისეთი ცოცხალი სცენები წარმოგვიდგინა, რომ თითქმის გავიწყდება ტემის სიძველეცა და პიესის სხვა ნაკლიც, როგორც მაგალითად „შვილების“ უფერულობა და უსიცოცხლობა, გადაჭარბებული ხმარება რუსულ ენისა (მართალია, ჩვენში „განათლებული“ თაობა სულ რუსულს ლაპარაკობს, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ქართული პიესა სანახევროდ რუსულად დაიწეროს; ეგ ცუდათ გაგებული რეალიზმია), მოქმედ პირთა უმოქმედობა და სხვა (რა საჭიროა მაგ. ცოცხალი პირების სცენაზე ხსენება—მამინოვი და ტარსაიძე; არც ამას მოითხოვს რეალიზმი).

პიესა კარგად წარმოადგინეს ჩვენმა არტისტებმა. წარმოდგენა მართლა რომ საუცხოვო იქნებოდა, რომ სვიმონიძე და კარგარეთელი ცდილიყვნენ და მეტის სიცოცხლით ეთამაშნათ. ვ. აბაშიძე ყველაფრით საუცხოვო იყო. მან ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ, როცა კი მოინდომებს, შესანიშნავის ნიჭის არტისტია. კვირის წარმოდგენაში აბაშიძე აქტიორი კი არ იყო—იგი იყო ნამდვილი განხორციელებული სტეპან ივანიჩ ზარალოვი, ძველის დროის შეხედულების მამა, რომელსაც ვერ გაუგია და გულს უკლავს შვილის „სოციალისტობა“.

ნ. გაბუნია და ჩერქეზიშვილისა აბაშიძის შესაფერი პარტნიორები იყვნენ. ორივე საკვირველის სინამდვილით და ზომიერებით ასრულებდნენ თავიანთ როლებს, განსაკუთრებით გაბუნია.

ძალიან კარგი იყო ტასო აბაშიძე ლიზას (სონას მეგობარი) როლში. ლიზა—ჩვენის დროისა და გიმნაზიების ლვიძლი შვილია. კაბა და შლიაპა, კრუჟოკი და საბრანიე—აი მისი ჰორიზონტი. ტასო აბაშიძეც სწორედ ასეთი იყო აზიანის პიესაში.

„მშვენიერი ელენეს მაძიებელი“-ს ასრულებაში კვირას ერთი ცვლილება მოახდინეს: დარია ჰანჰურაძის როლი ქ. გივიშვილისათვის მიეცათ. ჩვენ წინააღმდეგი არა გვაქვს-რა, მაგრამ სიმღერა მისი საქმე არ არის და რეჟისორს ან ეს სიმღერა უნდა გამოეშვა ანა და—უკეთეს მომღერლისათვის მიეცა. ტასო აბაშიძე კარგს იზამდა, რომ სასიმღერო რეპერტუარს გამოიცვლიდეს, თორემ „აფიცრებო“-მ, ცოტა არ იყოს, თავი მოაბეზრა საზოგადოებას.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

8 ოქტომბერი

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის ფონ-ვალის სახელობაზედ, ვილნოს გუბერნატორად დანიშვნის გამო გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტი.

7 ოქტომბერს ხელმწიფე იმპერატორის, დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულისა, ხელმწიფე მემკვიდრისა, აგრეთვე სასახლის მინისტრისა და სპალაში მყოფ ამალათ. თანდასწრებით ქალაქ ტომაშოვში აკურთხეს წმ. ნიკოლოოზ სასწაულთ მოქმედის სახელობაზედ ახლად აგებული მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. აკურთხა ვარშავისა და ხოლმის არქიეპისკოპოსმა იერონიმემ. კურთხევის შემდეგ სპალ.ს სასახლეში საუზმე იყო გამართული, რომელზედაც მიიწვიეს: ყოვლად სამღვდელო იერონიმე, ვარშავის გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ადიუტანტი ჩერტკოვი, მე-5 კორპუსის დროებითი უფროსი გენერალ-ლეიტენანტი აგაპეევი, გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ფულონი და ვიტებსკის ქვეითა პოლკისა და იამბურგის დრაგუნთა პოლკის უფროსები.

7 ოქტომბერს დაბრუნდა გემით „ბაკან» უმაღლესად დამტკიცებულის კომისიის ის ექსპედიცია, რომელიც წასული იყო შპიცბერგენის კუნძულებზე გრადუსების გამოსაანგარიშებლად.

7 ოქტომბერს აკურთხეს ახლად გახსნილი რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელი, რომელიც ნიკოლაევის რკინის გზის ალექსანდრეს სახელობაზე გამართულ მექანიურ ქარხანასთან დაარსებულია.

ნიუ-იორკი. გაზ. „ნევ-იორკ-ჰერალდ“-ს ცნობა მოსულია ვაშინგტონიდან, რომ შეერთებულ შტატებს ვითომ ეთხოვოს ჩინეთისათვის, უფლება მოგვეცეს ტიან-ძინის კონცესიაში მონაწილეობა გვქონდესო, რათა ამერიკის ვაჭრობამ-ც ისე მოიდგას ფეხი, როგორადაც სხვა სახელმწიფოებმაო.

დურბანი. აქ გავრცელებული ხმა, ვითომ დევეტი გარდაიცვალა—ტყუილია. მაგრამ დევეტი ამ უკანასკნელ დროს ისე მიჩუმდა, რომ ამ ხმებს უფრო და უფრო მნიშვნელობა ეძლევა.

მოსკოვი. უნივერსიტეტის მსახურთა და სტუდენტების თანდასწრებით საძირკველი უკურთხეს სტუდენტების სადგომ სახლს. ეს სახლი იმ სახლის ეზოში იქნება აგებული, რომელიც იმპერატორის ნიკოლოოზ მე-II სახელობაზე უკვე დაარსებულია ისევ სტუდენტების სადგომად.

ფარმაცევტთა საპენსიო კასის მონაწილეთა წლიურ კრებაზე დიდი მღელვარება გამოიწვია იმ საკითხმა, გადაეცეს თუ არა მთავრობას ნახევარი მილიონის კასა. ფარმაცევტებს ამის უარი ჯერ არ გამოეცხადებინათ ისე თხოულობდნენ: შეგვატყობინეთ, რა პირობებით უნდა გადავცეთ მთავრობას კასაო. თავმჯდომარემ ფრეინმა აუკრძალა ამაზე ბაასი; მაშინ ორას დამსწრე ფარმაცევტთაგან ას ორმოცდა ათმა თავი დაანება კრებას და გარედ გამოვიდა.

ბაქო. მთავრობის წარმომადგენელთა და დიდ-ძალი ხალხის თანადასწრებით გაიხსნა რუს-მაჰმადიანთა საქალებო სკოლა დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობაზე ბაქოს ვაჭრის ტაგიევის ხარჯით დაარსებული. ტაგიევმა შემოიტანა სკოლის თანხად 125 ათასი მანეთი და მშვენიერი შენობაც თავის ხარჯით ააგო; დაუჯდა 100 ათასი მანეთი. სკოლაში დახურული პანსიონი იქნება. მიღებულია სხვა-და-სხვა მხრიდან 58 მაჰმადიანი ქალი. შიდა რუსეთიდან მრავალ მაჰმადიანთაგან მილოცვა მოუვიდათ.

ტაშკენტი. აქ მოვიდა სამხედრო მინისტრი, რომელსაც ალტაცებით მიეგებნენ.

კერჩი. მესამე დღეა, რაც აზოვისა და შავს ზღვებზედ მეტად ძლიერი ჩრდილოდასავლეთის ქარი ჰქრის.

ტამბოვი. ღამ ღამობით ყინვაა; დღისით კი სითბო 18 ფრადუსამდე ადის. არავინ მოსწრებია ამისთანა კარგ ამინდს ამ დროს.

კიევი. ქალაქ ბერდიჩევში კიევის საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე სამი ყალბი საბუთით ხოლმისა და ლუბლინის ბანკებიდან 160 ათასი მანეთის მიღების შესახებ. ამ ქურდობაში უმთავრესი მონაწილე ბერდიჩევის ხაზინის მოხელე ვასილ ბაჩინსკი ამერიკაში გაიქცა. გაასამართლეს: ბაჩინსკის ცოლი მელანია, მისივე საყვარელი თეკლე ივანკევიჩი, ამის მამა იულიან კობილანსკი, შვილები ანდრია და ნიკო კობილანსკები, აგრეთვე დები მელეტინა პალჩევსკი და ნეონილა ბობოვსკი. ნაფიც მსაჯულებმა გაამართლეს პალჩევსკისა და ბობოვსკის ცოლები, დანარჩენები დამნაშავედ იცნეს და მიუსაჯეს: კობილანსკებს ორი წლით საპატიმრო განყოფილებაში გაგზავნა, თეკლე ივანკევიჩს ციხეში ორი წლით დაპატიმრება, ბაჩინსკის ცოლს—ერთის წლით. განაჩენის წაკითხვის შემდეგ თეკლე ივანკევიჩის დედამ—ვალერია კობილიანსკიმ ხმა მაღლა გამოაცხადა: „მევიყავ ხოლმში ფულის მისაღებად, მეც წამიყვანეთ“.

სევასტოპოლი. ფეოდოსიაში რკინის გზის საწყობი დაიწვა. ზარალი დიდია. ცეცხლი გაჩნდა ჭერიდან ჩამოვარდნილის ლამპისაგან.

ბელგრადი. საერო კრება გაიხსნა. სეფესიტყვაში მეფე კმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ ახალი კონსტიტუცია სერბიის ერმა კარგად შეითვისა: ეს დაამტკიცა უკანასკნელ არჩევნებმაო. მეფე სიამოვნებით შეჰფიცავს ახალ კონსტიტუციას და აღნიშნავს, რომ სერბიას ყველა სახელმწიფოსთან მეგობრული განწყობილება აქვს, მეფე განსაკუთრებით აცხადებს იმას, რომ სერბია ძველებურად ცდილობს მოიხვეჭოს და შეირჩინოს ძლევა-მოსილის რუსეთის ნდობა და თანაგრძნობა. მთავრობა იმასაც ცდილობს, რომ უყურადღებოდ არ დასტოვოს ბევრ-გვარი ინტერესები, რომელიც მას ავსტრ.-უნგრეთთან აქვს. აგრეთვე კეთილ-სვინდისიერად ასრულებს სერბია თავის საერთაშორისო მოვალეობათ მეზობელ სახელმწიფოს წინაშე. განსაკუთრებით აღნიშნავს მეფე იმასაც, რომ ჩერნოგორიასა და სერბიას შორის კეთილი და ნათესაობრივი განწყობილება სუფევს; კეთილი განწყობილებაა ოსმალეთთანაც მიუხედავად იმისა, რომ ალბანელებმა ძალმომრეობა იხმარეს სერბთა წინააღმდეგ. სეფეს სიტყვის შემდეგ მეფემ ფიცი მიიღო, რომ არ ულალატებს სახალხო კონსტიტუციას.

პარიჟი. საფრანგეთის კონგოდან (აფრიკაში) ცნობები მოვიდა, ევროპიელი ვაჭრები აწვალებენ მკვიდრთ, რომ გამოართონ სპილოს ძვალი და კაუჩუკი. ამ გვარ ძალ-მომრეობას შეუძლია, გერმანიის სასიხარულოდ, ისე გაანადგუროს საფრანგეთის კონგო, როგორც განადგურებულია ბელგიის კონგო. მთავრობამ გადასწყვიტა ამის წინააღმდეგ საშუალება იხმაროს.

რედაქტორი ხლ. შვრნია. გამომცემელი ხლ. ჯაბადარი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Октября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.